

თავი IV

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2016 წლის შესრულების მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა (-577 908.2) ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 488 643.9 ათასი ლარის ოდენობით.
2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 577 361.1 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	2016 წლის ფაქტიური შესრულება
	532,029.1	577,361.1
ვალუტა და დეპოზიტები	20,000.0	81,789.9
სესხები	300,275.6	285,239.1
აქციები და სხვა კაპიტალი	211,753.5	210,332.1

*ვალუტა და დეპოზიტებში 81 789.9 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის დაგროვებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 622 361.8 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2017 წლის 1 იანვრისთვის განისაზღვრა 704 151.7 ათასი ლარით.

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 88 717.2 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	2016 წლის ფაქტიური შესრულება
	90,000.0	88,717.2
სესხები	90,000.0	87,994.3
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	718.5
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	4.4

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 1 066 522.1 ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 1 458 983.8 ათასი ლარი, მათ შორის:

- 378 381.9 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 822 450.8 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 258 151.1 ათასი ლარი - ბიუჯეტის მხარდაჭერი კრედიტები.

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	2016 წლის ფაქტიური შესრულება
	1,456,150.0	1,458,983.8
საშინაო	380,000.0	378,381.9
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	380,000.0	378,381.9
საგარეო	1,076,150.0	1,080,601.9
სესხები	1,076,150.0	1,080,601.9

ათას ლარებში

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
ბიუჯეტის მხარდაჭერის კრედიტები	258,151.1
ADB	258,151.1
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	822,450.8
IFAD	1,042.5
WB	191,067.1
EBRD	45,872.5
ADB	275,093.6
EIB	122,913.8
საფრანგეთი	101,188.0
იაპონია	39,436.5
გერმანია	45,836.8
სულ კრედიტები	1,080,601.9

2016 წლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 41 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 1 154 920.0 ათასი ლარის მოცულობით, ამავე პერიოდში დაიფარა 765 286.0 ათასი ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდი. ფასიანი ქაღალდების გამოშვების კომპოზიცია: 54.8% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 30.7% - ორი წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 11.3% - ხუთი წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 3.2% - ათი წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებულმა თანხამ 1 118 091.6 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 739 709.7 ათასი ლარი შეადგინა. სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად, საშინაო ვალდებულების წმინდა ზრდამ შეადგინა 378 381.9 ათასი ლარი.

2016 წლის განმავლობაში გამოშვებული და დაფარული სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები

ათას ლარებში

თვე	ვალდებულებების ზრდა	ვალდებულებების კლება	ვალდებულებების წმინდა ზრდა
იანვარი	117,986.4	110,168.6	7,817.8
თებერვალი	88,569.3	152,230.7	-63,661.4
მარტი	123,119.0	97,105.9	26,013.2
აპრილი	58,169.7	4,983.9	53,185.8
მაისი	72,671.6	90,538.4	-17,866.8
ივნისი	124,745.6	68,160.9	56,584.7
ივლისი	123,772.0	25,249.8	98,522.2
აგვისტო	134,153.8	86,227.1	47,926.7
სექტემბერი	33,036.8	30,579.0	2,457.7
ოქტომბერი	109,149.8	18,993.4	90,156.4
ნოემბერი	102,939.6	55,055.1	47,884.5
დეკემბერი	29,778.0	416.9	29,361.1
სულ	1,118,091.6	739,709.7	378,381.9

3. ვალდებულებების კლება 392 431.7 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	2016 წლის ფაქტიური შესრულება
	397,465.4	392,431.7
საშინაო	59,517.4	59,945.4
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	35,000.0	35,000.0
სესხები	966.8	966.8
სხვა კრედიტორული დავალიანებები	23,550.6	23,978.6
საგარეო	337,948.0	332,486.2
სესხები	313,000.0	307,538.2
სხვა კრედიტორული დავალიანებები	24,948.0	24,948.0

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალმა შეადგინა 15 123.1 მლნ ლარი, მათ შორის:

- სახელმწიფო საშინაო ვალი შეადგენს 3 170.9 მლნ ლარს, მათ შორის:
 - ✓ ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სეზ-ისთვის“) – 360.8 მლნ ლარი;
 - ✓ სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 142.0 მლნ ლარი;
 - ✓ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 585.0 ათასი ლარი;
 - ✓ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 1 410.8 მლნ ლარი;
 - ✓ სხვა სავალო ვალდებულებები (ე. წ. „ისტორიული ვალი“) – 672.3 მლნ ლარი.
- სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 11 952.2 მლნ ლარი.

ათას ლარებში

კრედიტორი	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის მოცულობა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სულ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი	11,952,199.3
მთავრობის საგარეო ვალი	11,937,254.9
მრავალმხრივი კრედიტორები	8,641,037.8
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	3,046,441.2

კრედიტორი	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის მოცულობა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	1,803,554.5
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	71,199.7
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	284,654.2
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	240,572.7
ევროგაერთიანება (EU)	27,940.0
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	2,457,584.3
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	709,091.1
ორმხრივი კრედიტორები	1,967,638.7
ავსტრია	30,538.4
აზერბაიჯანი	25,968.1
თურქმენეთი	558.7
თურქეთი	49,744.9
ირანი	20,125.5
რუსეთი	209,292.1
სომხეთი	29,887.9
უზბეკეთი	561.7
უკრაინა	513.0
ყაზახეთი	73,512.2
ჩინეთი	6,860.7
გერმანია	670,665.9
იაპონია	504,974.5
კუვეიტი	37,019.0
ნიდერლანდები	2,934.0
ამერიკა	66,099.1
საფრანგეთი	238,383.0
ფასიანი ქაღალდები	1,323,400.0
ევროობლიგაცია	1,323,400.0
გარანტირებული კრედიტები	5,178.5
გერმანია	5,178.5
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	14,944.3
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	14,944.3